

საკრებულოს წევრის საქმიანობის წლიური ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი საკრებულო
საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: ზურაბ ნაკაიძე

საკრებულოში დაკავებული თანამდებობა: საფინანსო და ეკონომიკური განვითარების
კომისიის თავმჯდომარე

ფრაქციის წევრობა: „ქართული ოცნება“ -დემოკრატიული საქართველო

კომისიის (კომისიების) წევრობა: ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია

არჩევის წესი (მაჟორიტარის შემთხვევაში ოლქის მითითებით): მე-6 ოლქი

განხორციელებული საქმიანობები:

1. საკრებულოს სულ 10 სხდომაზე მივიღე მონაწილეობა, სადაც განხილული იყო ჯამში 88 საკითხი.

როგორც საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის
თავმჯდომარემ წლის განმავლობაში ჩავატარე 10 კომისიის სხდომა.

დავესწარი ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის 8 სხდომას.

წლის განმავლობაში მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა შეადგინს 237

ამ შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა კი 457 ადამიანს.

(მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოკვეთილი ძირითადი საკითხები

ეზოს სანიაღვრე და კანალიზაციის სისტემის მოწყობა, სოციალური და ჯანდაცვის დახმარების
საკითხი; სავალი გზის მოწესრიგების საკითხი; პარკინგის პრობლემა; კაფე-რესტორნების
გამწოვების საკითხი. სამასაჟო სალონების არსებობა; ეზოს შესასვლელში ჭიშკტის მონტაჟი;
ზვიად გამსახურდიას და ზუბალაშვილის კვეთაში არსებული სკვერის მოწესრიგება და სვერში
ღმის საათებში წესრიგის დამყარება; ძეგლის სტატუსის მქონე ავარიული შენობების
რეაბილიტაცია; ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებლებზე
ქირის გადახდა;)

სხვა განხორციელებული საქმიანობები:

გახლავართ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული გენდერული
საბჭოს წევრი, რომელშიც აქტიურად ვარ ჩართული.

გახლავართ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და
სხვა პირთა მატერიალური დახმარების გაწევის შემსწავლელი მუდმივმოქმედი საბჭოს
წევრი, რომელშიც აქტიურად ვარ ჩართული.

გახლავართ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამა „შენი იდეა ბათუმს“-თან
არსებული საბჭოს წევრი, რომელშიც ვარ ჩართული.